ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 9

ქ. თბილისი

10.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს ,,ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს სხდომის მდივანი;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონს ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;
გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ლუარა ნორაკიძე - შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;
ნანა ბარკალაია - შპს პელაგონის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში;
გურანდა შანავა - შპს პელაგონის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
ნანი შარუხია - სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის დირექტორი;
ნანა ალექსანდრია - შპს გიმნაზიის დირექტორი;
ზურაბ სამარღანაშვილი - შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის საბაზო და საშუალო სკოლის დირექტორი;
მადონა ღიბრაძე - შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის იურისტი;
ლანა ორაგველიძე - შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ადმინისტრაციული მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნელი ნასყიდაშვილი
დიმიტრი პოპოვი
სერგო დურგლიშვილი
ნინო ბალანჩივაძე
ლიანა კობესაშვილი
ნინო გვარამაძე
მიხეილ მინდაძე
მაკა ნადარეიშვილი
ქეთევან ბოტკოველი
ინგა კახიანი
თამარ კუპრაშვილი
ვიქტორია უშანგიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:20 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.შპს ქ. ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6.შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7.შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
8. რიგგარეშე საკითხი: საპატრიარქოდან შემოსული წერილის განხილვა.

საბბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და დიმიტრი პოპოვმა.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმში განხორციელდა 2017 წლის 31 იანვარს და 1 და 2 თებერვალს. ვიზიტის შედეგად, გადამოწმებული იქნა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური რესურსისა და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტის განმარტებით, საგანმანათლებლო სტანდარტთან მიმართებით ფიქსირდებოდა ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა დაწყებით საფეხურზე სპორტის გაკვეთილს. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ისწავლებოდა მხოლოდ ჭადრაკი, ნაცვლად ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული სპორტის სამი სახეობისა. ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ჭადრაკს, ფეხბურთსა და კალათბურთს
ექსპერტის განმატებით, სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი და მოედანი. სპორტის გაკვეთილების ჩატარება ხდებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სპორტული სკოლის დარბაზში, რომლის სარგებლობის თაობაზეც სკოლას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება.

გაკვეთილების ცხრილის მიხედვით, მე-6 კლასში, მე-5 გაკვეთილი იყო სპორტის, ხოლო მე-6 გაკვეთილი მუსიკის. მე-7 კლასში სპორტის გაკვეთილი იყო მე-4, ხოლო მე-5 გაკვეთილი - ინგლისური ენა, მე-8 კლასში ოთხშაბათს სპორტის გაკვეთილის შემდეგ ჩასმული იყო ქართული ენა, მე-10 კლასში სამშაბათს სპორტის გაკვეთილის შემდეგ ჩასმული იყო გეოგრაფია და ისტორია.

სკოლის დირექციასთან და მოსწავლეების/მშობლების ფოკუს ჯგუფებთან გასაუბრების შედეგად, გაირკვა, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილებზე დასაწრებად ემსახურებოდა სკოლის ტრანსპორტი, თუმცა მათ ზოგჯერ ფეხითაც უწევდათ გადაადგილება.

ექსპერტის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებები საეჭვოს ხდიდა სპორტის და მისი მომდევნო გაკვეთილების შედეგიანობასა და მოსწავლეთა უსაფრთხოებას. თუმცა ვიზიტის

მიმდინარეობისას, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნა, კერძოდ, ცხრილში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები და სპორტის გაკვეთილი გადატანილ იქნა ბოლო გაკვეთილად. ამასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის თანახმადაც, დაწყებით საფეხურზე სპორტის გაკვეთილები ჩატარდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად, ხოლო ,ჭადრაკი" ფაკულტატური მეცადინეობის სახით ჩატარდებოდა კვირაში ერთხელ - შაბათ დღეს.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის მიმდინარეობისას, ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები დასამუხტი იყო, თუმცა აღნიშნული ხარვეზი ვიზიტის პერიოდშივე იქნა აღმოფხვრილი, კერძოდ, დაწესებულებამ შპს ,,იმერეთის სახანძრო დაცვასთან" გააფორმა ხელშეკრულება ცეცხლმაქრების პერიოდული გადამუხტვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სკოლის მისიის პირველ ფრაზაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის მიზანი იყო თავისუფალი, ანალიტიკურად მოაზროვნე, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების მქონე, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, კონკურენტუნარიანი აქტიური მოქალაქის აღზრდა და ა.შ.. მისი განმარტებით, სასწავლო აქტივობები აწყობილი უნდა ყოფილიყო სწორედ მისიის შესაბამისად და დაინტერესდა, თუ რა სახის აქტივობებს ახორციელებდა სკოლა სხვადასხვა საფეხურზე საკუთარი მისიის შესასრულებლად

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა მაქსიმალურად ითვალისწინებდა მოსწავლის აზრს, არ იზღუდებოდა გამოხატვის თავისუფლება, სკოლასა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა იყო უშუალო. წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ სკოლაში ტარდებოდა სკოლის გარეშე და კლასგარეშე ღონისძიებები. ასევე, მიმდინარეობდა ჯგუფური სამუშაობები, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მის გარეთაც.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სკოლის მისიაში მითითებული იყო, რომ სკოლის მისია იყო მართვის, აღზრდის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე სისტემების შექმნა, შესაბამისად, იგი დაინტერესდა უზრუნველეყო თუ არა სკოლამ აღნიშნული ხუთი სისტემის დამკვიდრება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა მოქმედებდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით, სკოლა ითვლიდა ფუქნციონირების შვიდ წელიწადს, მისი განმარტებით, მართვის თანამედროვე სისტემაში მოიაზრებოდა სკოლაში შექმნილი სამი კლუბი, რომელსაც წარმართავდნენ და უძღვებოდნენ თავად მოსწავლეები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 239897590) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. შპს პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა სერგო დურგლიშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ.

1. მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტის განმარტებით, წინა სასწავლო წელი სკოლისათვის საკმაოდ მძიმე იყო, ვინაიდან სკოლის დირექტორს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და მთელი წლის მანძილზე არ იღებდა მონაწილეობას სკოლის საქმიანობაში, ხოლო მიმდინარე წელს, სკოლაში მისი დაბრუნების შემდეგ სკოლაში განხორციელდა მრავალი ცვლილება. კერძოდ, სკოლამ დაიმატა 100კვ.მ ფართი შენობის მეოთხე სართულზე (დაემატა სამი საკლასო ოთახი), რამაც გამოიწვია სასწავლო პროცესების ცვლილებაც.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა, არ აკმაყოფილებდა შესაბამის სტანდარტს, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იქნა და დაწესებულებამ შეისყიდა და დაამონტაჟა ახალის სათვალთვალო კამერა, რის შედეგადაც უკვე ხდებოდა პერიმეტრის კონტროლი სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა სამი სათვალთვალო კამერის დამონტაჟების დამადასტურებლი დოკუმენტაცია.

ესქპერტის განმარტებით, ვიზიტისას სკოლის შენობის ახალ სართულზე არ იყო საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები, თუმცა აღნიშნული პრობლემა უკვე მოგვარებული იყო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც სკოლამ ასევე საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის შენობაში განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი არ შეესაბამებოდა სტანდარტს, რაც ასევე ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად იქნა გამოსწორებული და გაკეთებული იქნა ახალი სველი წერტილი.

2. ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ესექსპერტმა აღნიშნა, რომ რამოდენიმე მასწავლებელი არ იყო ჩართული სქემაში.

სკოლის დირექტორის განმარტებით ამ მასწავლებლების აყვანა მოხდა დროებით, მისი განცხადებით, სკოლაში გამოცხადდა კონკურსი, რის საფუძველზეც შერჩეულ

კანდიდატებთან გაფორმდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო დროებით აყვანილ მასწავლებლებთან შეწყდებოდა შრომითი ურთიერთობა ან მოხდებოდა მათი სქემაში ჩართვა.

ესქპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დირექტორის წერილი გადაგზავნილი იყო უფლებამოსილ ორგანოში.

3. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა უცვლელად იყო გადმოტანილი ეროვნული სასწავლო გეგმიდან. მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმიდან არ დგინდებოდა ინიშნებოდა თუ არა წლიური გამოცდა.
ექსპერტის განცხადებით სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ინკლუზიური განათლების კონცეფცია - თუმცა მოცემულ ეტაპზე მას სსმ მოსწავლე არ ჰყავდა.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა ვიზიტის პერიოდში და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილებები.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა შემაჯამებელი დავალებების ერთიანი ფორმა, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიების მიზნით. სკოლა ძირითადად იყენებდა ტესტურ დავალებებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ტესტური დავალებების გარდა განესაზღვრა სხვა შემაჯამებელი დავალების სახე, ასევე შეფასების კრიტერიუმებიც განესაზღვრა იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებდა სტანდარტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა აუცილებლად გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზს და შემაჯამებელი დავალება განისაზღვრებოდა, არა მარტო ტესტური, არამედ სტანდარტით დადგენილი სხვადასხვა ფორმებით. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ასევე მიმდინარეობდა მუშაობა შეფასების რუბრიკებზე რის შედეგადაც მოხდებოდა მათი ჩაშლა და გაწერა ქულების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა სკოლის მისიასთან დაკავშირებით და დაწესებულებას მოუწოდა მოეხდინათ მისიის კორექტირება. კერძოდ, დაწესებულების მისიაში მოხსენიებული იყო პედაგოგიური კოლექტივი და მასწავლებლები, რაც ერთი და იგივე ნიშნავდა, ასევე დასაზუსტებელი იყო რადენად იზიარებდა ყველა მისიის განაცხადს. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა თანხმობა მისიის გადამუშავებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 102 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, დადებით მომენტად აღინიშნა სკოლის სრული მზადყოფნა დასკვნაში აღნიშნული და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მხრივ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პელაგონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზვრული რაოდენობის 102 მოსწავლით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს პელაგონს (ს/კ: 239897634) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 102-ით.

3. სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ლიანა კობესაშვილმა და ნინო გვარამაძემ.

ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზებ თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

1. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით:

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ორი სასკოლო სასწავლო გეგმა. პირველი სემესტრის გეგმა, რომელიც კანონმდებლობის დაცვით შემუშავდა სასწავლო წლის დასაწყისში და გადმოგზავნილი იყო ცენტრში.მეორე შემუშავებული და დამტკიცებული იყო მეორე სემესტრის დასაწყისში. სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები ეხებოდა სავალდებულო საგნების როტაციას და კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდების სისტემას.

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამოდენიმე პედაგოგის შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და კრიტერიუმები, რომელიც ანალიზის ფორმაში იყო მითითებული, სრულად არ ასახავდა დავალებების შინაარს. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას გაეწია რეკომედაცია, რის შედეგადაც, კათედრებმა განახორციელეს სამუშაოები და შემაჯამებელი დავალებები დაიგეგმა ისე, რომ დაცული ყოფილიყო სტანდარტით არსებული მოთხოვნები, სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორები კი სრულად ასახულიყო შემაჯამებელი დავალების შინაარსში.

თავმჯდომარე დაინტერესდა სასწავლო გეგმის ცვლილება დამტკიცებული იქნა თუ არა. ექსპერტმა განაცხადა, რომ გეგმაში ცვლილებები პედსაბჭოზე იყო შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული.

სხდომის თავმჯდომარე დაიტერესდა, რამდენად სწორად იყენებდა სკოლა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. ესქპერტის თქმით, სკოლა აქტიურად იყენებდა განმსაზღვრელ შეფასებას, თუმცა პრობლემა იყო განმავითარებელი შეფასების მხრივ, რომელიც ნაკლებად ფიქსირდებოდა ჩანაწერებში.

2. მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, სკოლას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება ა(ა)იპ - აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებასთან, შენობის მეორე და მესამე სართულზე განთავსებული 788.08 კვ.მ ფართისა და 400 კვ,მ- ფართობი მიწის ნაკვეთით სარგებლობის თაობაზე. ხელშეკრულება დადებული იყო 2011 წლის 1 ნოემბერს, 6 წლის ვადით. შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იჯარის ვადა გადიოდა 2017 წლის ნოემბრის თვეში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა გაეკეთებინა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ სააავტორიზაციაო განაცხადთან და თვითშეფასების კითხვართან ერთად ცენტრში თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. თუმცა ცენტრს აღნიშნული გარემოება ხარვეზად არ მიუჩნევია, შესაბამისად სკოლამ ჩათვალა რომ ამ მხრივ მას პრობლემა არ ჰქონდა. წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტების მიერ დაფიქსირებული შენიშვნის შემდგომ სკოლის დირექციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა გამგეობას. მისი განმარტებით ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება გარკვეულ პროცედურებს მოითხოვდა და სავარაუდოდ ორი თვე დასჭირდებოდა. წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა, გაგმგებლის მიერ ხელმოწერილი, სათანადოდ დამოწმებული საგარანტიო წერილი, რომლითაც გამგეობა გამოხატავდა თანხმობას, საიჯარო ხელშეკრულების 6 წლის ვადით გაგრძელებაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ეზოში ჰქონდა სპორტული დარბაზი, თუმცა დარბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მან ვერ წარმოადგინა. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლის ეზოში ასევე იყო სპორტული მოედანი, რომლის ადგილზეც 2016 წლის ნოემბერ-დეკემბერში აშენდა შენობა. სპორტის მეცადინეობისათვის სკოლა იყენებდა სკოლის ეზოსა და თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე მოსაზღვრედ მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღის დარბაზს.

წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა საბავშვო ბაგა-ბაღთან გაფორმებული ხელშეკრულება დარბაზით უსასყიდლოთ სარგებლობის თაობაზე.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა შეძენილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არასრული კომპლექტი, თუმცა სკოლას ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში გაწერილი ჰქონდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსთვის მოხდებოდა ლაბორატორიის აღჭურვა სრული კომპლექტით.

ექსპერტის განნმარტებით სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა საბჭოზე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც, სკოლას გაკეთებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი და შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო.

3. ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით:

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 28 პედაგოგი, მათგან 6 პრაქტიკოსი და 2 უფროსი მასწავლებელი. სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში არ იყო ჩართული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდებოდა, რომ სკოლას ჰქონდა მცდელობა გაეკეთებინა ალტერნატიული სქემა, თუმცა შემდგომ გადაწყვიტა, რომ

ჩართულიყვნენ არსებულ სქემაში. 2017 წლის 23 იანვარს დაწესებულებამ მიმართა აბაშის საგანმანათლებლო რესურცენტრს სქემაში ჩართვის თაობაზე,
საბჭოს წევრი თამარ ფხალაძე დაინტერესდა, თუ როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი ვიზიტის პროცესში.

ექსპერტთა განცხადებით, მიუხედევად იმისა, რომ რომ ვიზიტის დროს აბაშაში იყო ძალიან დიდი თოვლი, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ჩვეულ რეჟიმში და ბავშვები ესწრებოდნენ გაკვეთილებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის ავტორიზაციის საკითხი და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა 150-ით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ს (ს/კ: 222430876) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

16:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:55 საათზე.
საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ

4. შპს გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა მიხეილ მინდაძემ და მაკა ნადარეიშვილმა

ექსპერტთა განცხადებით, სკოლამ აიშენა ახალი შენობა და გადავიდა ახალ მისამართზე, შენობა საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იმყოფდებოდა და სკოლას ჰქონდა განვითარების დიდი პერსპექტივა. ამასთან, მისამართის ცვლილების თაობაზე ეცნობა რესურსცენტრსაც.

1. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით:
ექსპერტის განმარტებით სასწავლო პროცესში სკოლა მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლობლო მომსახურების სახით სთავაზობდა ორი უცხო ენის - რუსულისა და გერმანულის სწავლებას. ამასთან, რუსული ენა ისწავლებოდა მე-2 და მე-3 კლასში კვირაში ერთი საათი, მე-4 კლასში კვირაში 2 საათი. ხოლო გერმანული ენა 2-6 კლასებში კვირაში ერთი საათი. ექსპერტის განმარტებით აღნიშნულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ჰქონდა სავალდებულო სახე.
აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას გაეწია რეკომენდაცია, რომ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არ ყოფილიყო სავალდებულო ხასიათის. სკოლის დირექციის მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია და ვიზიტის დროსვე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება განისაზღვრა, როგორც არავასალდებულო წრე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სკოლის მისია იყო საკმაოდ ვრცელი, მასში ეწერა ბევრი ისეთი ფრაზა, რომელიც მისი აზრით არ იყო მართებული. მისიაში ასევე ეწერა, რომ სკოლის ძირითად ღირებულებას წარმოადგენდა უცხო ენების სწავლება. გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმას მიზნის ასეთი დავიწროვება და ის, რომ სკოლის ძირითადი მისია იყოს 3 უცხო ენის შესწავლა. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით სკოლის მთავარი ფუნქცია იყო სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნების შესრულება და დამატებით კი უცხო ენების მაღალ დონეზე სწავლის უზრუნველყოფა.

2. მატერიალური რესურსის სტანდრტთან მიმართებით
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის საკუთრებაში იყო 1335.00 მ² ფართი, რომელზეც აშენებული იყო 390,48 მ² ფართობის ორ სართულიანი შენობა-ნაგებობა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ამჟამად ჰყავდა 129 მოსწავლე და არსებული მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, სურდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 170 მოსწავლით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა საკუთარი სპორტული მოედანი, სკოლა მომავალში გეგმავდა საკუთარი სპორტული კომპლექსის, მოწყობასამჟამად კი იყენებდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აღებულ 608 მ ^{2} სპორტულ დარბაზს. . ექსპერტის განმარტებით ერთადერთი, რაც მატერიალურ მდგომარეობასთან შეიძლება ითქვას იყო ის, რომ სკოლას არა ქონდა ცენტრალური გათბობის სისტემა და გათბობა ხდება ელექტროღუმელებით. თუმცა სკოლას ქონდა მოლაპარაკება დაწყებული გაზის შემოყვანასათან დაკავშირებით. სხვა არსებითი ხარვეზები მატერიალურ რესურსთან მიმართებით არ დაფიქსირებულა.

3. ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 21 პედაგოგი, მათგან - 3 უფროსი მასწავლებელი და 13 პრაქტიკოსი, რომლებიც ჩართულები იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ექსპერტის განმარტებით, მხოლოდ ხუთ პედაგოგს არ უფიქსირდებოდა სტატუსი, რომელთა ჩართვის თაობაზეც დირექტორს წერილი გაგზავნილი ჰქონდა რესურსცენტრში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხი და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განუსაზღვრა 170-ით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს გიმნაზიას (ს/კ: 215147945) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.

თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხი შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი განხილული ყოფილიყო მე-5 საკითხად.
საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას, შესაბამისად, მე-7 საკითხი განხილული იქნა დღის წესრიგით მე-5 საკითხად.

5. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ საკითხისა და შუამდგომლობის ინიციატორი იყო ცენტრი. მისი განმარტებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებით სკოლას მიენიჭეა ავტორიზაცია და აგრეთვე პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, თუმცა გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი პროფესიული პროგრამებიდან ერთ ერთი პროგრამა - ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა იქნა გამორჩენილი და ნაცვლად 5 პროგრამისა, მიეთითა 4 პროგრამა.
პროგრამა წარმოდგენილი იყო თვითშეფასების კითხვარში და ცენტრში ასევე შემოვიდა ექსპერტის განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროგრამა შემოწმებული იყო. შესაბამისად დაწესებულება ახორციელებდა არა ოთხ, არამედ ხუთ პროფესიულ პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ,,შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	III	მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	36
3	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	ინტერნეტ-ტექნოლოგი	III	ინტერნეტ-ტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	ბუღალტერია	III	ბუღალტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	32

6. შპს ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ინგა კახიანმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სხდომას არ ესწრებოდა სკოლის წარმომადგენელი, სკოლის დირექტორის მიერ ცენტრში გადმოგზავნილი იყო წერილი, რომლის თანახმადაც იგი უარს ამბობდა ავტორიზაციის გაგრძელებაზე.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა აღარ ფუნქციონირებდა. შესაბამისად, ვერ მოხდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად დოკუმენტაციის გადამოწმება. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქ. ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის ავტრიოზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32 მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლას (ს/კ: 412691626) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

7. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორონგის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ, თამარ კუპრაშვილმა და ვიქტორია უსანგიშვილმა.

ექსპერტის განაცხადებით მთლიანობაში სამივე სტანდარტი იყო დაკმაყოფილებული და მან გაამახვილა ყურადღება იმ ხარვეზებზე რაც მონიტორინგის ჯგფუფის დასკვნაში დაფიქსირდა კერძოდ,

1. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით

ა) ექსპერტის განმარტებით, ინგლისური ენა ისწავლებოდა პირველი კლასიდან, რუსული კი - მესამე კლასიდან.
ეროვნული სასწავლო გეგმის 49-ე მუხლის მიხედვით, ქართულენოვანი სკოლებისათვის განკუთვნილი დაწყებითი საათობრივი ბადის ცხრილის განმარტებების მიხედვით მეორე უცხოური ენის სწავლება 2014-15 სასწავლო წლიდან დაიწყებოდა მეხუთე კლასში. შესაბამისი რესურსის და სურვილის არსებობის შემთხვევაში, სკოლას უფლება ჰქონდა 2014-15 სასწავლო წლიდან მეორე უცხო ენის სწავლება დაეწყო მეექვსე კლასშიც. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-40 მუხლის მიხედვით კი, პირველი უცხო ენის სწავლება იწყებოდა პირველი კლასიდან, ხოლო მეორე უცხოური ენის მეხუთე კლასიდან (გარდა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის დადგენილი გამონაკლისისა). სკოლა უფლებამოსილი იყო გამონაკლისის სახით, სამინისტროსთან შეთანხმებით მეორე უცხო ენის სწავლება დაეწყო ნებისმიერი კლასიდან. თუმცა მეორე უცხო ენის სწავლის ნებართვა სამინისტროდან სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ექსპერტთა რეკომენდაციიის საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის თხოვნით, გამონაკლისის სახით განეხორციელებინა მეორე უცხო ენის (რუსულის) სწავლება მესამე კლასიდან .
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიმართვის პასუხად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ნათია ჯოხაძის ხელმოწერით,

დაწესებულებას ეცნობა რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მე-14 მუხლის შესაბამისად, კერძო სკოლებს თანხმობა მეორე უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით არ სჭირდებოდათ.

ბ) ექსპერტის განმარტებით, აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერ დგინდებოდა სპორტის რომელი სახეობა იყო არჩეული სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, თუმცა გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები სამ-სამი კვირის განმავლობაში ეუფლებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებს. შენობის ვიზუალური დათვალიერებითაც ჩანდა, რომ აკადემიას ჰქონდა სპორტის ნებისმიერი სახეობის გაკვეთილების თავისუფლად ჩატარების მატერიალური ბაზა (ღია მოედანი შესაბამისი სპორტული ინვენტარით. იანვრიდან ამოქმედდებოდა საცურაო აუზი და გაიმართებოდა ყინულის მოედანი).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა სპორტის სახეობისათვის გაწერილი იყო სახელმძღვანელოები სამი დონის მიხედვით, რომლებიც გამოიყენებოდა კლასის საჭიროების გათვალისწინებით.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში შეეტანა სათანადო ცვლილებები. კერძოდ, გაეთვალისწინებინა სპორტის საგნობრივი პროგრამის სტანდარტი, განესაზღვრა სპორტის სამი სახეობა და წარმოედგინა შესაბამისი პროგრამები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის განნმარტებით აღნიშნული არ იყო არსებითი ხარვეზი, თუმცა დაწესებულებას ურჩია გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რეკომენდაციები.

გ) ეექსპერტის განმარტებით დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების პროცედურები: სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობითა და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ მოსწავლეებს გამოცდები უტარდებოდათ მე-5 - მე-11 კლასებში, 2015-16 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა კლასიდან კლასში (5-10 კლასებში) გადასაყვანი წლის დამამთავრებელი გამოცდები (თითოეულ კლასში 4,5 და მეტ საგანში), ამასთანავე 2016-17 სასწავლო წელსაც სკოლას განსაზღვრული ჰქონდა როგორც 5-6 კლასებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე (მაგ: მე-10 კლასში დანიშნული იყო გამოცდები შემდეგ სამ საგანში: ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია).

ექსპერთტის განმარტებით ზემოღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 23 - ემუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის 23 მუხლის თანახმად, კერძოდ სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. წლიური გამოცდა კი შესაძლებელი იყო დანიშნულიყო მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე.

ექსპერტის განმარტებით დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია, რის შედეგადაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კერძო სკოლას თავად უნდა განესაზღვრა მოსწავლეთთვის დასანიშნი გამოცდების რაოდენობა. მისი განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგნილი რეგულაცია აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით, არ უნდა გავრცელებულიყო კერძო სკოლებზე. ამასთან, თუ სამინისტრო

უშვებდა იმას, რომ კერძო სკოლას შეეძლო ესწავლებინა ხუთი ენა პირველ ეტაპზე, მაშინ ასეთი დაშვება უნდა ყოფილიყო გამოცდის ჩატარებაზეც.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა წარმომადგენელს, თუ რა ფორმით გაიზიარეს მათ ექსპერთა მიერ მითითებული შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა კარგად აცნობიერებდა შენიშვნის მათავარ მიზანს - მოსწავლეებს არ შექმნოდათ სტრესული სიტუაცია, რაც ასევე სკოლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, თუმცა სკოლას ჰქონდა საფუძველი, თუ რატომ მოქმედებდა ამგვარად, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა დროში გაწერილი ანალიზის მექანიზმი, (მინინუმ სამი წელი იყო საჭირო სტატისტიკური ანაილიზის გასაკეთებლად) ხოლო გამოცდები იძლეოდა მასწავლებლების და მოსწავლეების პროგრესის შეფასების ინსტრუმენტს. წარმომადგენლის განმარტებით, თუ სახელმწიფო ასეთი ფორმით უკრძალავდა მოქმედებას, (წლიური გამოცდების ჩატარებას) სკოლა აღნიშნულ აქტივობას განახორციელებდა არაფორმალურად, რაც აუცილებელი იყო სტატისტიკური ანალიზის შემუშავებისათვის.

2. მატერიალურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით
ექსპერტმა ვიქტორია კუპრაქშვილმა აღნიშნა, რომ შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემია" მდებარეობდა თბილისში, ლისის ტერიტორიაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რომელიც დაწესებულებამ მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციით განაახლა ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულების მფლობელობაში ფიქსირდებოდა 10000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი და არა მასზე განთავსებული შენობა. შენობა შედგებოდა ,,ა" (სასწავლო ადმინისტრაციული) და ,,ბ" (სპორტული) ბლოკების, დაცვის შენობისა და სატრანსფორმატოროსაგან. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2369625 გადაწყვეტილებით შენობის ,,ა" ბლოკი მიღებული იყო ექსპლუატაციაში. დაწესებულების მხრიდან ექსპერტებისათვის წარდგენილი დოკუმენტაციაში მშენებლობის დასრულების ვადები იყო განსხვავებული და ვერ დგინდებოდა შენობის ფაქტობრივი მდგომარეობა და მისი მფლობელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის მშენებლობა დაიწყო 2015 წელს, მიწის ნაკვეთი იმყოფებოდა სკოლის საკუთრებაში, ხოლო შენობა იყო მრავალკომპლექსიანი და მისი მშენებლობა მიმდინარეობდა ეტაპობრივად. თავდაპირველად არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული იქნა ერთი მთლიანი კომპლექსი - ორი ძირითადი ბლოკი, „ა" ბლოკის მშენებლობის დასრულების შემდეგ, იმისათვის რომ სკოლას 2015 -2106 სასწავლო წელს დაეწყო ფუნქციონირება, მოხდა მთლიანი კომპლექსის პროექტის ჩაშლა ბლოკების მიხედვით. შესაბამისად შეტანილი იქნა ხელახალი განაცხადი, ამიტომ არსებობდა რამოდენიმე ბრძანება. სკოლის იურისტის განმარტებით, ამჟამად ექსპლოატაციაში მიღებული იყო „ა" ბლოკი, სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე შესაძლებელი გახდებოდა შენობის დანარჩენი ნაწილის ექსპლოატაციაში მიღება და მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაც. თუმცა აღნიშნულ პროცესს აფერხებდა ქონებაზე დადებული ყადაღა, რომლის მოხსნაზეც დაწესებულების მხრიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგივე მდგომარეობა დაფიქსირდა 2015 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროსაც, მაგრამ საბჭომ მაშინ მიიღო ეს განმარტება,

რადგან მიწის ნაკვეთი იყო სკოლის საკუთრება და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობაც ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა გადაულახავ პრობლემას.

3. ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით
ექსპერტის თამარ კუპრაშვილის განმარტებით, მონიტორინგის პერიოდში 6 პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. აღნიშნული მასწავლებლები მიღებულნი იყვნენ მიმდინარე სასწავლო წელს. რეკომენდაციის საფუძველზე ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნა, კერძოდ, მათ გაგზავნილი ჰქონდათ მიმართვა ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში აღნიშნული პედაგოგების სქემაში ჩართვის თაობაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორთან შუამდგლობის თხოვნით. ასევე, მონიტორინგის პერიოდში ცვლილება შევიდა სპორტის მასწავლებლის დანიშვნის შესახებ ბრძანებაში, რის შედეგადაც სპორტის მასწავლებელი გადავიდა მასწავლებლის ასისტენტად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის (ს/კ: 204497829) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. რიგგარეშე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თავმჯდომარის, რუსთველი მიტროპოლიტის იოანე გამრეკელის წერილი (109839 07/02/2017).

წერილში ავტორი თხოვნით მიმართავდა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, კიდევ ერთხელ განეხილათ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაფუძნებულ კერძო ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საღმრთო სჯულის" საგნის სწავლების საკითხი.

წერილის თანახმად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაფუძნებულ კერძო ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საღმრთო სჯულის" სწავლება წარმოადგენდა თავისუფალ არჩევანს და აღნიშნული საკითხი დეტალურად იყო გაანალიზებული შესაბამის ექსპერტებთან ერთად.

წერილში ასევე მითითებული იყო, რომ აღნიშნული საგანი არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის არც სავალდებულო და არც არჩვით საგანათა ჩამონათვალში. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კი სკოლას უფლება ჰქონდა, მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინა დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურება ფაკულტატური ან სავალდებულო სახით. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაფუძნებულ კერძო ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საღმრთო სჯულის" შეთავაზება ხდებოდა სწორედ დამატებით სავალდებულო საგნად.

საბჭომ იმსჯელა წერილში დასმული საკითხის შესახებ და საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაფუძნებული კერძო ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებდნენ ავტორიზებულ რეჟიმში, რაც ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს არ აძლევდა ამ სკოლების ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვის საფუძველს.
რაც შეეხებოდა საღმრთო სჯულის, როგორც დამატებითი სავალდებულო საგნის სწავლებას, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი იყო თავად სკოლა, არსებული კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია
მდივანი
თამარ ფხალაძე